

“ხელისუფლება აღიარებს, რომ უმუშევრობა ბაზრდილია”

გაზეთი “ბანკები და ფინანსები” – 17-23 ივნისი, № 9, 2008

უმუშევრობა საქართველოს ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოების კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2007 წელს უმუშევრობის დონემ 13,3% შეადგინა და გასული წლის მონაცემებთან შედარებით 0,3%-ული პუნქტით შემცირდა, თუმცა 2003 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე გაზრდილია, ხოლო სამუშაო ძალის რიცხოვნობა შემცირებული. ამ პრობლემებთან დაკავშირებით გაზეთი “ბანკები და ფინანსები” ექსპერტ ლადო პაპავას ესაუბრა.

– საქართველოს სტატისტიკის მონაცემებით, 2007 წელს უმუშევრობის დონე 0,3%-ით შემცირდა და 13,3% შეადგინა, თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს მაჩვენებელი?

– ამ მონაცემების უკვე აღარავის სჯერა. სამწუხაროდ, სტატისტიკის დეპარტამენტი დამოუკიდებელი სტრუქტურა არ არის, ის ინსტიტუციონალურად მცდარ სქემაშია მოხვედრილი და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნაწილია, რის შედეგადაც მას აიძულებენ, ის ინფორმაცია გამოაქვეყნოს, რაც მთავრობის საქმიანობას უფრო ლამაზად წარმოაჩენს. აქედან გამომდინარე, მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არაობიექტურია ყველა მიმართულებით, მათ შორის ინფლაციის თუ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გამოთვლისას, აგრეთვე დასაქმების მონაცემების მიმართულებითაც. უმუშევართა რიცხვი ქვეყანაში ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ისინი აქვეყნებენ. სტატისტიკის დეპარტამენტის საქმიანობაზე შეიძლება ითქვას, არა ის, რომ სტატისტიკის დეპარტამენტში არაკომპეტენტური ხალხი მუშაობს, პირიქით იქ კარგი პროფესიონალები არიან, არამედ ის, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა იძულებულია, იმ პოლიტიკურ დაკვეთას გაუწიოს ანგარიში, რომელიც მთავრობიდან მოდის და, აქედან გამომდინარე, გამოაქვეყნოს ის პარამეტრები, რომლების მთავრობის საქმიანობას ლამაზ ფერებში წარმოაჩენს.

– 2003–2007 წლებში სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 85800 კაცით 1965 მლნ კაცამდე შემცირდა და ამასთანავე, 2003 წელთან შედარებით უმუშევრობის დონეც გაიზარდა, ეს მაჩვენებელი “ვარდების რევოლუციამდე” 11.5% იყო, არადა ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით ქვეყნის ეკონომიკა სწრაფი ტემპით ვითარდება და სამუშაო ადგილები იქმნება. რა აზრის ხართ ამ მონაცემებთან დაკავშირებით?

– ეს ინფორმაციაც შელამაზებულია. მართალია, ამ ციფრების მიხედვით ხელისუფლება აღიარებს, რომ უმუშევრობა გაზრდილია, მაგრამ რელურად უფრო გაზრდილი იქნება, ვიდრე გამოაქვეყნეს. სტატისტიკის დეპარტამენტის მუშაობის პრინციპი ერთია, თუ მაჩვენებლის ზრდა კარგია, ხელოვნურად ზრდიან და პირიქით. უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ, როცა ისინი შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობას ამცირებენ, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მეტად შემცირებული იქნება. შესაბამისად უმუშევრობის მაჩვენებელიც უფრო მაღალია.

სამუშაო ძალის გადინება უკვე ხანგრძლივი პროცესია, კარგა ხანია გრძელდება და სულაც არ არის მისასალმებელი, მაგრამ ეს ტენდენცია ობიექტურია. ადამიანს რაც არ უნდა ელაპარაკო, მხოლოდ დაპირებებით ვერ მოხიბლავ, ყველაფერი კარგად იქნება და გინდა თუ არა, აქ დარჩიო. თუ მოქალაქეს არა აქვს შრომის ღირსეული პირობები და ისეთი ანაზღაურება, რომ ნორმალურად ცხოვრებისთვის საკმარისი აღმოჩნდეს ის ტოვებს ქვეყანას.

– შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიციანიანმა სტატისტიკის დეპარტამენტის ამ მონაცემებზე განაცხადა, რომ არარეალურია, ქვეყანაში სამუშაო ძალის რიცხოვნობა ასე შემცირდეს და უმუშევრობაც გაიზარდოს, “მაშინ ქვეყანაში არაფერი არ უნდა არსებობდეს, რომ მართლაც ასე იყოს”. რა კომენტარს გააკეთებდით მინისტრის ამ განცხადებაზე?

– ჯერ ერთი, ჯანდაცვის მინისტრი ექიმი უნდა იყოს და, საერთოდ, ამ სამინისტროს არასწორადაა მიერთებული სოციალური დაცვა; ხოლო ჯანდაცვის მინისტრის კომენტარს, რომელიც ექიმიც კი არ არის მე ვერანაირ კომენტარს ვერ გავუკეთებ.

– ზოგადად, სახელმწიფოში მაღალი ინფლაციის დროს მაღალი დასაქმებაა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად ქვეყნის მესვეურებს უწევთ არჩევანის გაკეთება დაბალ დასაქმებასა და მაღალი

ინფლაციას შორის, საქართველოში კი არც დაბალი ინფლაციაა და უმუშევრობასაც მასობრივი ხასიათი აქვს. რეალურად რა ხდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში?

– მაღალი ინფლაციის დროს შეიძლება არ იყოს მაღალი დასაქმება, თუ ამ ინფლაციას გამანადგურებელი ეფექტი აქვს. დღესდღეობით ინფლაციის რეალური მაჩვენებელიც კი არ ვიცით და მე შემიძლია, იგი შევაფასო, იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმედებენ ქვეყნის კომერციული ბანკები, მათ კრედიტების საპროცენტო განაკვეთები 37%-მდე გაზარდეს, ანუ წლიური ინფლაცია სადღაც 18–20%-ის ფარგლებშია.

– რაში ხედავთ უმუშევრობის დაძლევის გზებს?

– დასაქმების ის სამთვიანი პროგრამები, რომელთა მონაწილეებს 150–200 ლარს უხდიდნენ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა თუ გადამზადებისათვის, რა თქმა უნდა ფარსი იყო. ხოლო, რაც შეეხება, იაფი სესხის პროგრამას მცირე ბიზნესის სტიმულირებისათვის, ეს მთელი ქვეყნის მასშტაბით ვერ გამოიწვევს დასაქმების ბუმს, მაგრამ კარგი მექანიზმია იმისთვის, რომ ხალხმა თავი თვითდასაქმებულად იგრძნოს და უმუშევრობის თვალსაზრისით არსებული მძიმე ვითარება ცოტა უფრო მაინც შეამსუბუქოს. ამ პროგრამას გამჭვირვალობასთან დაკავშირებით გარკვეული ხარვეზები აქვს, გაუგებარია, კონკრეტულ პირებზე კრედიტებს მთავრობა რატომ ანაწილებს, მაშინ, როცა ეს მისი საქმე არაა. მთავრობას უნდა ჩაეტარებინა ტენდერი, გამოეყვლინა საუკეთესო ბანკი, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ამ პროცესის წარმართვას და სესხების გაცემას დადგენილი ნორმატივების პირობებში. საბოლოო ჯამში ეს პროგრამა გამართლებულად მიმაჩნია სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

გვანცა სიხარულიძე